

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
21	10	—	6	6	—
11	9	0	5	5	50
10	8	5	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	2	2	2	75
7	6	5	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაბათი.

ივერი

სიკოლომის ქუჩა, 21.

ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
 და განცხადებათა დასაბეჭდად
 უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ
 გამაგრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
 ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
 16 კაპ. მეორეზედ — 8 კაპ.

„ივერის“ ტელეფონი № 227

„ივერის“ ტელეფონი № 227.

გრიგოლ ვებრას ძე და ბარბარე გაბრიელის ასული მამაძის გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა თაგისის ვაჟი-შვილის მეორე კლასიკურ გიმნაზიის მოწაფის **ალექსანდრე გრიგოლის ძის მამაძის** და სთხოვენ მობრძანდნენ 11 თებერვალს, ავღაბარში საკუთარს სახლში, №2 მიცვალბულის გასასვენებლად წმინდა მარინეს ეკლესიაში. ხოლო დასაფლავება იქნება პეტრე პავლეს სასაფლაოზე. (1-16-1)

იოსებ ივანეს ძე მისიშვილი და დედა მისი მართა მამაძის ასული უმორჩილესად სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა რათა ინებონ მობრძანება 11 ამა თებერვალს დილით 10 საათზე ანჩისხატის ეკლესიაში, სადაც იქნება გარდახდლი წლის წირვა პირველის — მამისა და მეორესი — ქრის **ივანე იოსების ძე მისიშვილის** სულის მოსახსენებლად. (1-15-1).

ახალი ამბავი

* ახალ ქალაქი (ჯავახეთი): ჩვენ მხოლოდ 3 თებერვალს მივიღეთ დეპეშა, რომ გარდაიცვალა საქართველოს საუკეთესო მწყმსთ-მთავარი იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი. ყველა დიდად შეაწუხა ამ ამბავმა. მეორე დღესვე მღვდელმა იოსებ ჩიტაძემ მრავალის ხალხის თანადსწრებით გარდაიხდა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად

დამოკლე და გრძობიერი სიტყვაც წარმოსთქვა გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობის შესახებ.

* * ქ. ნუხა: ხუთშაბათს, პირველ თებერვალს აქაურმა ქართველებმა გარდავიხადეთ პანაშვიდი ადგილობრივის სამართაილიდებლო ეკლესიაში ჩვენის დაუფრწყარის მწყემსთ-მთავრის გაბრიელის სულის მოსახსენებლად. მამა დავით უთიაშვილმა პანაშვიდის წინ გრძობით სავეს სიტყვა წარმოსთქვა გარდაცვალებულის მოღვაწეობის შესახებ წინაშე ეკლესიისა და ქართველ საზოგადოებისა.

* * დიდ-მარხვის მესამე კვირას,

ძოს (ძველებურათა ჩვენებურათა) „ჩემი სისხლი იძიეთ“. არ ვიცი საიღამ გამოუჩნდა განსვენებულს ასეთი ჭირისუფალი! ეს სწორედ კრილოვის „დათვისა და კაცის მეგობრობას“ მოგვაგონებს. აი სწორედ ამგვარ მეგობრებზე თქმულა: ღმერთო, მიხსენ მეგობრებისაგან, და მტრებს-კი მე გავცემ პასუხსაო. ყველანი სიკვდილის შვილები ვართ და, მგონი, არავინ ისურვებს, რომ ბიოგრაფმა სამარეშიაღც არ მოასვენოს და ტყუილ-უბრალოდ წასჩუბოს ვისმეს.

პლ. იოსელიანთან თურმე დ. ბაქრაძეს დიდი მეგობრობა არა ჰქონდა, არც დ. ჩუბინოვთან, მაგრამ, მე ხომ ბაქრაძე, ბ-ნ ზ. ჭ-ს სიტყვით, სულ მანადგურებდა. ბ-ნი ჭ-ე თავისს წიგნში, თითქმის სამ გვერდზე (22-24) სულ ჩემზე ლაპარაკობს. აი რას ამბობს:

ა. „ეს (დ. ბაქრაძე) დიდად ემღერებოდა ცაგარელს, მეგრული ენის აღორძინების საქმეთ (მიზნებად?) სულ მას და მის მოღვაწეობას სთვლიდა. ისე არ მოიგონებდა ბ-ნ ცაგარელს, რომ მასზე კიცხვა და გმობა არ დაეწყო... აგრე მეგრული ეტიუდები შეადგინა, ვითომ ფილოლოგიურს მეცნიერებას შესძინა რამეო, ის-კი არა ვნების მეტი არა მოიტანა-რაო. მეგრული ენის ანბანს მან დაუღო საფუძველიო“.

ამას დ. ბაქრაძე არ იტყოდა, რადგან, ჯერ ერთი, მეგრული ენის გა-

შაბათს, 24 თებერვალს, იმართება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ სალიტერატურო და სამუსიკო საღამო ძლიერ ვრცელ პროგრამით. მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო მომღერალნი, დამკვრელნი, მსახიობნი და მკითხველნი.

* * ტფილისის გუბერნიის შემდეგ ქალაქებში — დუშეთსა, სიღნაღსა, თელავსა და ახალციხეში, სადაც შემოკლებული საქალაქო მმართველობა იქნა შემოღებული არჩევანები 7 აპრილისათვის არის დანიშნული. ქალაქის საქმეთა საგუბერნიო მმართველობის მიერ დამტკიცებულ სიებით ამომრჩევლები ყოფილან ქ. თუშეთს — 133, სიღნაღს — 190, თელავს 395 და ახალქალაქში — 223. („ნოვ ობოზ.“).

* * როგორც ვაზ. „ნოვოე ობოზ.“-ე სწერს, ოქროყანაში მცირე წლოვან დამნაშავეთათვის გახსნილს ახალშენში ამ ჟამად ხუთი მცირე წლოვანი დამნაშავე თურმეა. ერთი ამთავანი რაჟიღამ არის, 16 წლისა, ხოლო დანარჩენი ოთხი ტფილისის მაზრიღამ, ასე 10-დამ 13 წლისანი. მცირე წლოვან დამნაშავეთ უკვე დაიწყეს რუსულის წერა-კითხვის სწავლებათა, სწერს ვაზეთი.

ჩვენის აზრით და სამართლიანობაც მოითხოვს ამ მცირე-წლოვან დამნაშავეთ უპირველეს ყოვლისა ჯერ სამშობლო ენაზედ ასწავლიდნენ

მოკლეა ბაქრაძეს დიდად საჭიროდ მანდა, რაგორც ქართული ენისათვის, ისე ისტორიისათვის, და მეორეც ისა, რომ იმას ჩემი შრომა მეგრულის ენის შესახებ წაკითხული ჰქონდა, და გარჯად იცოდა, რომ მეგრული ენის ანბანისათვის მე არ დამადგა საფუძველი.

აქ მოვიყვან სიტყვა სიტყვით დ. ბაქრაძის წერილს, ჩემთან მოწერილს 1872 წელს, როდესაც მე გამამწესეს ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტში, და ქართული ენის დამისი შტოების გამოკვლევას შევუდექი. ეს წიგნი, სხვათა შორის, ვაჩვენე, წარსულ ზამთარში პეტერბურგში ყოფნის დროს, ნიკოლოზ ბესარიონის ძეს დოლოპერიძეს, რომელმაც კარგად იცის დ. ბაქრაძის ხელი. აი ეს წიგნი თავიღამ ბოლომდინ: „მოგილოცავთ ახალს თანამდებობას. ვინც თქვენ გიცნობენ, იმათ შორის, რასაკვირველია, მეც, დიდი იმედი აქვთ თქვენი, რომ უნაყოფო არ იქნება თქვენი შრომა ქართულის ლიტერატურის ასპარეზზე. ბოდიშს ვითხოვ, რომ აქამომდე თქვენს წერილზე პასუხი ვერ მოგვციო. პირველი ეს, რომ თქვენი წერილი ცოტა გვიან გადმომცეს, მეორე ეს, რომ „მეგრული ენა“ და „მეგრული ენის შესახებ“ და რუსულზე თავის დროზედ ვერ ვიშოვნე. ამას გარდა, ზაგურსკის ბროშურა „Кавказско-Горскія Письмена“, რომელიც თქვენის შრომისთვის, ჩემის ფიქრით,

წერა-კითხვის, რადგანაც საღამო როგორ გამოიყენებენ უცხო ენას ისე, როგორც სამშობლო ენას. ესენი ხომ სპეციალურ სწავლისთვის არ იქმნებიან მოზადებულნი ამ ახალშენში და იქიღამ ხომ გიმნაზიებში ან სხვა რომელსამე სასწავლებელში არ გადავლენ სწავლის განსაგრძობად; მაშ, რისთვის იქნება გამოსადეგი ვერ გავიგია. სამშობლო ენა კისულ სხვაა. ეს ენა დაბადებიღამვე შეუსწავლიათ და თუ ისწავლის რასმეს სასარგებლოს შემდეგშია, როდესაც ახალშენს თავს დაანებებს, ისევე ამ ენაზედ უკეთ ისწავლის, უფრო აღვიღალ.

* * ამავე გაზეთის სიტყვით, საფოსტო განყოფილება ნავთლულის მოედანზედ სქმნება გახსნილი გროლკოს სახლში.

* * აგრე სამი დღეა რუსეთის ფოსტა არ მიგვიღია, რადგანაც საქართველოს სამხედრო გზაზედ ზეგვებია ჩამოწოლილი. ერთს ადგილას რომ გასწმენდნ გზას, ახლა მეორე ადგილას ჩამოწვები ზვავი. გუშინაც არ მიგვიღია რუსეთის ფოსტა.

* * ს. დანარი (ქვემო იმერეთი): ჩვენში ბევრგვარმა ავადმყოფობამ იჩინა თავი. საქონლის ჭირმა ლამის არის შინაურს პირუტყვს მთლად მუსრი გაავლოს. გაჩნდა აგრეთვე ყვავილი, რომელმაც ერთს დღეს ხუთი ადამიანი იმსხვერპლა და სხვა მრავალი სენიც გვეწვია: ტიფი, ფი-

ქნება მასალათ გამოგადგეთ, ჯერ დაბეჭდილი არ იყო აქამომდე და ერთი კვირაა მხოლოდ რაც გამოვიდა. ამებს გიგზავნით გავაგზავთ მასთან, ძალაან საჭიროა. ჩვენ აქამომდე ქართულს ენაზე და ამის შტოებზე ფალოლოგიურა ცნობები, რაგორც სსურველთა, ჩვენ არა გააქვს; მეტადრე მე ისტორიულს შრომაში გვწმნებ, რომ უამისოდ ისტორია არ დაიწყო. მასალეები ყველა, რასაკვირველია, გაქვთ ფრანციკულს და მეტადრე ნემეცურს ენებზე. ჩემის ფიქრით, უკეთესია როზენის ლაზურის ენის გამოკვლევა და მაქს მილდერისა საზოგადოდ კავკასიის ენებზე და იმათ შორის ქართულს ენაზე. ეს თხზულება ინგლიურს ენაზე დაწერილი, და როგორც მასხვს, ის ქართულს ენას ინდო-ევროპიულს (?) შტოთ სთვლის. თქვენი ახალი შრომა მოითხოვს, რომ უტყველად მოხვიდეთ აქ და ადგილობრივ თქვენე მეჭკრიბოთ საქირაო მასალები. მე, სწორე გითხრათ, მეძნელება თქვენის პროგრამის შესრულება. თუმცა იმედი მაქვს ახალციხეშია, სამეგრელოშია, სადაც ლაზები ხშირად არიან ხოლომე, უარს არავინ მეტყვის მასალების შეკრებას პროგრამით, მაგრამ იმედს ვერ მოგცემთ, რომ ამ საქმეს გულ-მხურვალედ შეუდგნენ და უფრო არ გაგიფუჭონ საქმე. მაინც გამოგიგზავნეთ პროგრამა. მე ვეცდები, რომ თქვენი სურვილი ავასრუ-

ლტვების ანთება და სხვანი. ყველა ამ ავადმყოფობათ ხელს უწყობს ცუდი ამინდები: თითქმის სამი კვირა განუწყვეტლივ სთოვს; თოვლი მეტად დიდია, ასე რომ ზოგიერთს სახლებს ბურული მთლად ჩამოანგრია. აქაურ მკვიდრ მცხოვრებთა სიტყვით, ასეთი დიდი თოვლი დიდიხანია არ ყოფილა. ხალხი მეტად გაკვირვებულია უსაფუძვავობის გამო.

* * გომბორზედ დიდი თოვლია. დილითები და ფურგუნები ვერ მუშაობენ. მუშები სდგანან და გზას სწმენდენ. გზას ვიწროთაც ძლივს სჭირან და პატარა მარხილებით გაჰყავთ და გამოჰყავთ გალხი. თოვლის სიმაღლე 2 საყენამდეა, ზოგან 1 1/2 საყ.

თელავში ამ ბოლოს დროს სიცივეები დაიჭირა.

* * სოფ. ნატოჩაო, (სენაკის მაზრა): თოთხმეტს იანვარს დაიწყო დიდი თოვლი და მას აქეთ თითქმის ყოველ დღე თოვლს. ბარში სამ მტკაველზე მეტი თოვლი სძევს; მთებში-კი ექვსი მტკაველია. სოფ. ნატოჩაოში თავი იჩინა, სხვათა შორის, „კისერამ“. ამ სენმა ერთი თუ ორი ზაგვი კიდევ იმსხვერპლა. ყოველსავე ამას ხელს უწყობს დიდი სიცივე და ყინვები.

* * სამეგრელო: სწორედ დიდი ზამთარია ახლა ჩვენსკენ. ასეთი დიდი ზამთარი თვალთ არ გვიანხავს. თოვლი ბლომად სძევს მთაში და ბარშიაც. ფუხარებს დიდი იმედი

ლო. სენაურს ენაზე დაბეჭდილი „საქარისტიანო საზოგადოებისაგან“ სლოვარი მქონდა მე, რომელშიაც ამ ხუთი წლის წინად კარანდამით თვით სამეგრელოში ჩაურთე, ლაზების გამოკითხვით, სხვა-და-სხვა ნიმუშები იმათის სლოვარიღამ, ზოგიერთი ფრაზები და გრამმატიკული ფორმები შედარებით მეგრულს ენასთან. როგორც მასხვს, დიდი განსხვავება ვერა ვნახე-რა მეგრულში და ლაზურში. ის სლოვარი მინდოდა თქვენთვის გამოგზავნა, მაგრამ საუბედუროდ ვერ მიზოვნია. თუ რომ ვიპოვნე, უტყველად გამოგიგზავნი. ბროსესთან დაიარებით, რასაკვირველია. ჩემ მაგიერ გულითადი პატივისცემა განუცხადეთ. იმედი მაქვს თქვენ მაგას და ეგ თქვენ დიდს შემიწეობას მისცემთ ერთმანეთს. რაშია ც საქირაო ვიყო თქვენთვის, ნუ დამზოგავთ. ყოველსავე თქვენს მონდობილებას დაუხარებლად შევასრულებ, თუ შევძლებ. დავთოები თქვენის წარმატების მარად მოსურნე დიმიტრი ბაქრაძე. 22 იანვარი, 1872 წელი“.

ამ წერილიდგანა სჩანს, რომ 1) დ. ბაქრაძეს მეგრულისა, ლაზურისა და სენაური ენების გამოკვლევა მიუცილებელ საქირაოებად მიანდა არა მხოლოდ ქართული ენისა, არამედ ქართული ისტორიის გასაგებათაც, 2) რომ თითონ დ. ბაქრაძემ გამოგიგზავნა მეგრულ ენაზედ დაბეჭდი-

ფელეტონი

პასუხი ბ-ნ ზ. ჭ-ს.

„ნამუსიკ კაი საქონელია“ ჩვენში ანდახათ იტყვიან.

შარშან ტფილისში ყოფნის დროს ვიციდე სხვათა შორის პატარა წიგნაკი: „დიმიტრი ბაქრაძე. თბილ. 1891. წ. კ.“ (ზაქარია კიქინაძე). ბევრჯელ შემხვედრია უთავბოლო და უსაფუძვლო ლაპარაკი ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში ჩემ მწერლობაზედ და მე პასუხი არ გამოცია, მაგრამ რაც ამ პატარა წიგნში წავიკითხე, იმან ყველას გადააქარბა. ესლა თუ ორიოდ სიტყვით პასუხს ვაძლევ ბ-ნ ჭ-ს არა იმიტომ, რომ ავტორი ამა წიგნაკისა, ან იმის ნაწერი პასუხის დირსი იყოს, არამედ იმიტომ, რომ ჩემზედ არის ლაპარაკი განსვენებული დ. ბაქრაძის გამო, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ჩემი ქვეყნის წარსულის შესწავლაზე და რომლის ცხოვრების აღწერა დირსია, რომ ჭეშმარიტებაზე იყოს დაფუძნებული და არა სიცრუებზე.

აქ მოვიყვან მოკლედ თითოეულ მუხლს, რის გამოც ვითომ დ. ბაქრაძე მე მემღერებოდა და ვეცდები თავი ვიმართლო იმ სამსჯავროს წინ, რომელშიაც ბ-ნ ზ. ჭ-ს უკისრნია ბრალმდებელის თანამდებობა, თითქოს ბ-ნ ბაქრაძეს იმისთვის ეანდერ-

ლო. თუმცა უმაღლესი სამეურნეო განათლებაც მიიღია და ამასთანავე თანამედროვე ჩემი აზრებით ისიც აგრძელებს. უახლესი მუცის, მაგრამ მაინც ვგრძობდი და ვგრძობ ეხლაც იმ საქმის სიძნელეს, რომელსაც ხელი მოგვიდევ. ნუგეშად ამ ტვირთის ზიდვაში, ეს სამეურნეო საზოგადოება მყავდა და ვიმედოვნებდი, რომ იგი გასაქირში შემწეობას აღმოგიჩენდა, გამოუცდელს გამოცდიდა და საქირა ცოდნა-დარიგებასაც მომაწოდებდა. ამის იმედით მქონდა მით უფრო, რომ სამეურნეო საზოგადოების გახეობა თითქმის ყოველ ნომერში ამას ვკითხულობდი: „სამეურნეო საზოგადოების საბჭო სთხოვს მემამულეთ თავიანთი აზრი შეატყობინონ ხოლმე სამეურნეო საზოგადოებას სხვადასხვა სამეურნეო საგნების შესახებო.“

წავიკითხე ეს მოწოდება, დაუფურცლე, გაგზავნიდი და ჩემი დაკვირვებანი შევატყობინე გაზეთს, ერთს ვრცელს წერილში, რომელიც შარშან გამოვიგზავნიე.

აი რას ვამბობდი სხვათა შორის იმ წერილში:

ლაგოდელის მხარეს მრავალი მისდევს თამბაქოს მოყვანას. საქირა მათ ცოდნისა და მატერიალურის მხრივაც შემწეობა მიეცეთ. აუცილებლად საქირა მოვაშროთ მათ ისეთი გარემოებანი, რომელნიც აფერხებენ და წინ სვლას უშლიან. ამნაირ მათის თავისუფლად მოქმედების შემსრულად უნდა ჩაითვალოს მოქმედება ერთის მდიდარის ქალაქელის ვაჭრისა, რომელსაც თავისი მცირე პლანტაციები აქვს ლაგოდელს და ქალაქში-კი თამბაქოს დიდი ქარხანა. ამ ვაჭარბაბა გამოსთხოვა მთავრობას 35 ლესეტ. სახელმწიფო მიწა და თამბაქო მხოლოდ 5 ლესეტინაზედ დასეთსა. (ამნაირად იგი არ

снудны, да и тѣ носятъ характеръ баснословный“, и даже, что „событія древнихъ временъ были описываемы по преданію“ (Кавк. Календарь, 1858, стр. 405, 407). ამ სიტყვების შემდეგ რასაკვირველია ბაქრადეს უნდა თავი ემართლა და ცხადდებოდა თავის აზრი, რასა ჰფიქრობდა „ქართლის-ცხოვრების“ ლირსებებზე.

ე. მერე ბიოგრაფი მოპყვება, ჩემო ბატონო, ლაპარაკს ჩემ მწერლობაზე, ვითომც ბაქრადის სიტყვით, და რასაკვირველია იმას ჩემი ნაწერები ჩირათაც არ მიჩნია. ამაზე არას ვიტყვი და ცილობას არ დავიწყებ ბ. ზ. ჯ.—ნათქვამია „კარგ მთქმელს—კარგი გამგონე უნდაო“. მხოლოდ შევდგები აქ ერთ საგანზე. ბ. ზ. ჯ.—ე ბრძანებს: „ცაგარელი მარტო ამით არ არის შესამჩნევი პირი, ამის საქმეები რომ არ ყოფილიყო, მაშინ პალესტინის საზოგადოებისაგან დ. ბაქრადე გაიგზავნებოდა ათონს, სინაის მთაზე და ჯვარის მონასტერში ქართული ნაშთების გასაწინჯავათა, რომელიც ბევრათ ბევრს საქმეს გააკეთებდა. ბაქრადემ სთქვა: დაე, ის წავიდეს, ნეტა გააკეთოს რამე, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მისგან რამის გაკეთება საეჭვოთ მიმაჩნიაო“. მთელი ეს ჩივილი, რომ ვითომ მე ვიყავი მიზეზი, რომ ბაქრადე არ გაიგზავნა აღმოსავლეთის წმ. ალაგებში—სიცრუე და უსინდისო ცილის წამება

ჩაითვლება გამოჩენილ პლანტატორად) და მის ქარხანას-კი რამდენიმე ათასი ფუთი თამბაქო უნდება ყოველ წლივ. აი ამ თამბაქოს იგი თავისს მეზობლებისაგან ყიდულობს, სარგებლობს თავისის მატერიალურის ძალით, ფასს ძირსა სწევს, ფუთში 2 მ. 40 კაზ. და ამითი პლუბავს თამბაქოს მოყვანის საქმეს მთელ ჩვენს მხარეში, იმ ღარიბი ხალხის მდგომარეობა, რომელთაც მოპყვით თამბაქო, უციდურესია და საზოგადოება მოვალეა უშველოს რამე. სამინისტრომ თავისი მცოდნე მოხელე გამოგზავნა, რომ იმ მხარეში თამბაქოს მოყვანა კარგ ღონეზედ დამდგარიყო—მობრძანდა ეს მოხელე და იმ მდიდარის ვაჭრის ტყვედ გახდა—არავის თვლითაც-კი არ უნახავს ის ბატონი. სამეურნეო საზოგადოება მოვალეა საქმე ისე მოაწყოს, რომ იმ მცოდნე მოხელემ სხვებისთვისაც მოიცალოს.

ეს იყო ბატონო აზრი ჩემის წერილისა. წარმოიდგინეთ ახლა ჩემი განცვიფრება, როდესაც სამეურნეო გაზეთში ვკითხულობ ამ ჩემ წერილს ჩემის სახელით მოწერილს და რომელიც აქ, რედაქციაში ისე გადაუკეთებიათ, რომ იმ ვაჭრის ქება და დიდება გამოდის. გამოაცა გაზეთის ამნაირმა მოქმედებამ, გამაკვირვა.

მაგრამ ჩემი გაკვირვება უფრო გაორკვედა, როდესაც ამ დღეებში სამეურნეო გაზეთშივე ხელ-მეორედ ქება-დიდებას ვხედავ იმავე ვაჭრისას, ბ-ნ ენფანჯიანისას.

2 წელიწადია, რაც თვალ-ყურს ვადევნებ ჩვენის მხრის მეურნეობას და გულ-ახსნით ვაღვიარებ, რომ ენფანჯიანის მოქმედება, როგორც პლანტატორისა, სრულიად არ არის ღირსი ქებისა. ეხლა მაინც მიაკვირვებ ყურადღება, ბატონებო, თამბაქოს პლანტატორების მდგომარეობას, თუ

არის. 1882 წელს ბაქრადეს მოსწერა პალესტინის საზოგადოებამ—გზის ხარჯს მოგცემთ, წადი სინაის მთაზე და პალესტინაშია, და გამოიკვლიე ნაშთნი ქართულის მწერლობისა და სიძველისაო. ბაქრადემ უაჩი განაცხადა, არ წაქაჯდა. იცოტავა გზის ხარჯი, თუ სიშორეს და გზის სიძნელეს მოერიდა (არაბეთის უდაბნოში აქლემით დღე და ღამ სიარული რასაკვირველია ძალიან სასიამოვნო არ არის.), თუ ჯანი არ მისდევდა სამგზავროთ,—ერთი სიტყვით, ბაქრადემ არ ინდობს აქ წასვლა. მაშინ (1882 წელს, შემოდგომაზედ) ჩემთან მოვიდა პალესტინის საზოგადოების მდივანი ბ. ხიტროვა, რომელიც დღესაც მდივანთ არის, და მითხრა რომ პალ. საზოგადოებას ჰსურს გამოიკვლილოს წმ. ალაგებში ქართული სიძველეთ ნაშთებიო, მივსწერეთ დ. ბაქრადეს ეს ეკისრნა, რადგან დიდი ჭანია რაც ის არქეოლოგიის მისდევსო, მაგრამ იმას უაჩი განაცხადა აქ წასვლაზე და თქვენზედ გვიჩვენა. გთხოვთ იკისროთ ამ საქმის აღსრულებაო. მე უთხარი, რადგან ეს საქმე ჩემ საგანს (специальность) და ჩემი სამშობლოს ისტორიას შეეხება მეთქი, მე მზათა ვარ წავიდე და გზის ხარჯათ რაც გინდა დანიშნეთ მეთქი. ამ გვართ 1883 წლის იანვრის პირველ რიცხვებში გავემგზავრე პეტერბურგ-ღიდგან აღმოსავლეთისკენ. რომ ბაქრადემ უარი განაცხადა იქ წასვლაზე, ეს ამბავი მაშინ გამოცხადებუ-

არ გინდათ, რომ მათმა მოქმედებამ სული დალიოს.

ან კიდევ, რა საკადრისია გაზეთისა და თვით სამეურნეო საზოგადოებისა ამნაირი ვისიმე რეკლამა. ამისი ნება-კი მისცა რედაქციამ იმ ქება-დიდებას დამწერს ბ-ნ კლაუსენს, რომ იგი თავის წერილის სათაურში სწერს: „ენფანჯიანის პლანტაციები დევათავლიერე სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მონდობილობით. მე სარწმუნოდ ვავიგე, რომ ბ-ნ კლაუსენს არავითარი მონდობილობა არა ჰქონია. ამითი ვათავებ სიტყვა თ. ჩოლაყაშვილმა. დამსწრე საზოგადოება დარწმუნდა კრებაზედვე მდივნის მოხსენების შემდეგ, რომ ბ-ნ კლაუსენს არა ჰქონია არავითარი მონდობილობა საბჭოსაგან, აგრეთვე დარწმუნდა, რომ თვით ჩოლაყაშვილის წერილის აზრიც გამოცვალა რედაქტორს, როგორც მიანბობდა ავტორი.

თ. ჩოლაყაშვილის მოხსენებამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. თუმცა ზოგიერთებმა წარმოსთქვეს ის აზრი, რომ ზემო მოყვანილი მოხსება სწორედ შესაფერი და საინტერესოც არისო, მაგრამ უმრავლესობას როგორც საბჭოს წევრებს, თავმჯდომარეს, ისე სხვებსაც—არ ექაშნიკათ სამეურნეო საზოგადოების სხდომაზედ ამნაირი ბასი. ესენი სამღურავსაც უთვლიდნენ ბ. ჩოლაყაშვილს დრო რად დაგვაკარგინე რაღაცა თამბაქოებზედ და ბ. ენფანჯიანისაგან ხალხის დაჩაგრავდაო. ეგ საგანი ჯერ საბჭოსთვის უნდა გეთქვა და მერე ის ჩვენ მოგვასხენებდა თუ საქირად დანიხავდაო, თორემ აბა ეხლა დრო დაგვაკარგინე და რეგლამენტებისა და ინსტრუქციების გაწინჯვა შეგვიშალეო.

საზოგადოდ ეტყობოდათ, რომ იქ დამსწრეთ უმეტესობას ვერაფრად იცოდა თბილისის გაზეთებში და ბევრს ეხსოვება. თუ მართლა სთქვა ბაქრადემ ის სიტყვები, რომლებიც ზ. ჯ.-ს მოპყავს, მარტო ბ. ზ. ჯ.-ს შეუძლიან ეს ნათქვამი ბაქრადის ქებათ მიაჩნდეს.

ვ. ჩვენ ცაგარისაგან უფრო სხვა ცნობებს მოველოდით, ამბობს ბ. ზ. ჯ.-ე, ჩვენ მოველოდით ჟვარის მონასტრას აღწერას და მასში დასაფლავებულ შოთა რუსთაველს (რუსთაველზე?) ცნობებს, სადაც საფლავის ზემოთ ერთ კედელზე დახატულია თვით ეს გამოჩენილი კაციც, მაგრამ ის ასე არ იქნა და ცაგარელმა გამოაქვეყნა ერთად რამდენიმე ისეთი ცნობანი, რაც ჩვენ მასზე ბევრათ აღრე ვიცოდით.—ამას ბაქრადე ვერ იტყოდა, რადგან ჩემი წიგნი წაკითხული ჰქონდა, და ამას ამბობს ზ. ჯ.-ე, რომელსაც ჩემი წიგნი, ეტყობა, თვლითაც არ უნახავს, ამიტომ მისაყვედურებს—ჟვარის მონასტრებზე და რუსთაველს სასწაულებსა სწერსო, ჩემი წიგნი „Памятники Груз. старины въ Св. землѣ и на Синаѣ. Спб. 1888 г.“ შეიცავს IX, 305 გვერდს, ამათში 89—111 ე. ი. ოც და ორ გვერდზედ მარტო ჟვარის მონასტრებზე და რუსთაველზე ცნობები არის, გამომიგზავნეთ დასაბუთებლათო.—მე არც მოცალეობა, და მართალი რომ ვთქვა, არცხალისი მქონდა ამეების ძებნისა და გამოგზავნისა, რადგან ვიცოდი, რომ ზ. ჯ.-ე ამას ღირსეულად და რიგიანათ ვერ მოიხმარებდა: „კარგ მასალას, კარგი მოხმარება უნდა“ ვკოწმებ ამ სტატიიდანაც ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რა დიდი სიფრთხილით უნდა გარდასცეს და ანდლოს სხვა-და-სხვა ცნობები ამ გვარ პირებს, როგორც ბ. ჯ.-ე.

მრავალ ალაგას თავის ბროშურებში ბ. ზ. ჯ.-ე ბრძანებს, რომ პლ. იოსელიანი, პრ. დ. ჩუბინოვი, ცა-

ეკაშნიკა ბასი სამეურნეო საზოგადოებაში სამეურნეო საგნის შესახებ. ეს დიდად და დიდად საყურადღებო გარემოებაა. ნუ თუ ის არის დანიშნულება სამეურნეო საზოგადოებისა, რომ რაღაც ფორმალისტიკას და რეგლამენტებს ანაცვალოს ცოცხალი საქმე, მეურნის ვარამი და დარღილი მაშ რა ყო, თუ არა ვარამი მეურნისა მემამულე ჩოლაყაშვილის მოხსენება. თამბაქოს მთესველნი ვიღუპებით და გვიშველეთო, აი აზრი იმის მოხსენებისა.

წარმოდგინეთ ისე გადაჩვეულნი იმ კრებაზედ დამსწრენი სამეურნეო საგნების განხილვას, რომ ვერც-კი შეითვისეს ეს მართლა და სავარამო აზრი ყოველის მემამულისა. კრების უმეტესის ამნაირმა საქციელმა სწორედ სასოწარკვეთილებამი ჩავგავლო ეხლა-კი აშკარად გახდა ჩვენთვის ის გარემოება, რომელიც აფერხებს მადლიანს გავლენას საზოგადოებისას სოფლის მეურნეობაზედ. არა ბატონებო—მაგნაირად წინ ვერ წასწევთ ჩვენის ქვეყნის მეურნეობას, უნდა გიყვარდეთ ეს მხარე, გული უნდა შეგტკიოდეთ მისთვის, სიცილით-კი არ უნდა მიეგებოთ მეურნის გაკვირვებას, რომელიც ჩოლაყაშვილმა დაგისახათ, არამედ თანაგრძობით. მხოლოდ ამ შემთხვევაში გექმნებათ გავლენა ჩვენს მეურნეობაზედ, მანამდინ-კი თქვენი არა გვწამს-რა.

მაგრამ აქ ბრალი ჩვენც, მემამულეთ და მეურნეთაცა გვდევს. დრო არის გონს მოვიდეთ და დავაფასოთ რა მადლის მოცემა შეუძლიან სამეურნეო საზოგადოებას ჩვენთვის. რად გაუზრზავთ მას, რად ვერიდებით მონაწილეობის მიღებას. ამ დღეებში არჩევანები უნდა მოხდეს ვიცეპრეზიდენტისა და საბჭოს წევრებისა. აუცილებლად საქირა ისეთი პირები ავირჩიოთ, ვინც ზედ მიწვენი

ცაგარელს არა პატივსადებ პირათ და აი ან ჩვენ (ე. ი. ჯიქინაძე) რათ უტკერით მას ასე.—რადგან ყველაფერი სიცრუე გამოდგა, მაშ ბაქრადის მიერ ჩემდამო არა პატივისცემა სიცრუე უნდა იყოს, თავისი „პატივისცემა“-კი თავისთვის შეინახოს ჯიქინაძემ. ცრუ, უმეცარის და უზღველის მხრით არა პატივისცემა არავის უნდა ეყწინოს, მაგრამ რადგან ამგვარი სიტყვები პირადი შეურაცხყოფა არის, ამიტომ ვგლო, რომ უთუოთ ბოდიში უნდა მოიხადოს ამის დამწერმა. სულ სხვის სამღურავს რომ მიმქაღებებს ბ. ზ. ჯ.-ე, მიკვირს თავის სამღურავიც არ განაცხადა: კარგა ხანია რაც ზ. ჯიქინაძემ წერილით მთხოვა—მანდ, პეტერბურგში, აკადემიის მუზეუმში, თუ შესაძლონ გაბზვიღო ცნობები არის, გამომიგზავნეთ დასაბუთებლათო.—მე არც მოცალეობა, და მართალი რომ ვთქვა, არცხალისი მქონდა ამეების ძებნისა და გამოგზავნისა, რადგან ვიცოდი, რომ ზ. ჯ.-ე ამას ღირსეულად და რიგიანათ ვერ მოიხმარებდა: „კარგ მასალას, კარგი მოხმარება უნდა“ ვკოწმებ ამ სტატიიდანაც ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რა დიდი სიფრთხილით უნდა გარდასცეს და ანდლოს სხვა-და-სხვა ცნობები ამ გვარ პირებს, როგორც ბ. ჯ.-ე.

მრავალ ალაგას თავის ბროშურებში ბ. ზ. ჯ.-ე ბრძანებს, რომ პლ. იოსელიანი, პრ. დ. ჩუბინოვი, ცა-

იცის ჩვენის მეურნეობის საფაღარო მდგომარეობა, ავირჩიოთ მემამულენი ღმარნი ნახავ რომ სამეურნეო საზოგადოებაც ფერს იცვლის, რეგლამენტებს და ინსტრუქციებს აღარ ანაცვალებს სამეურნეო საქმეს და მართლა სამეურნეო საზოგადოებათ გადიქცევა.

უცხოეთი

საზრანგეთი. გაზეთების სიტყვით, კარმოს შუშის ქარხნებიდამ დაუთხოვნიათ მრავალი მუშა, ასე რომ კარმოს მუშების მდგომარეობას ისევ მიაქცია საზოგადოებამ ყურადღება. დეპუტატმა ბოდენმა აცნობა სოციალისტთა დეპუტატებს ჟორესს, ვივიანის და ერო-რიშარს, რომ მუშეში ისევ უკმაყოფილება ჰსუფევსო. ხსენებული დეპუტატები მაშინვე მივიდნენ სამინისტროში და ყოველივე აკნობეს ბურჟუას. უკანასკნელმა აღუთქვა დეპუტატებს—უთუოდ გამოძიებას მოვახდენინებო. შესაძლებელია, პარლამენტში ხელახლავ აღიძრას ბასი კარმოს საქმეთა შესახებ.

იტალია. ამ დღეებში მილანში მოხდა დიდი მიტინგი, რომელზედაც სხვათა შორის, რვა დეპუტატც იყო. კრებამ გაპიციხა მთავრობის პოლიტიკა აფრიკის საქმეების გამო და აფრიკაში გალაშქრება იტალიისთვის საზარალოდ აღიარეს.

კორეა. ამ ნახევარ კუნძულისთვის, როგორც მკითხველებმა იციან, იაპონიამ ომი გამოუცხადა ჩინეთს. კორეს ბედ-იღბალი კარგა ხანია ჩაიგდო ხელში იაპონიამ და ამის შემდეგ იაპონია სრულიად გაბატონდა ამ ქვეყანაში. ბოლოს დროს იქ დიდი განხეთქილება იყო იაპონიის მო-

გარელი „ჩინოვნიკები“ არიან, ან იყვენო, ორდენები და ხაზინიდან ჯამგარი ეძლეოდათო. მერე? დ. ბაქრადეს-კი არა ჰქონდა ჩინები და ორდენები და ხაზინიდან ჯამგარი არ ეძლეოდა? რამდენი სამსახური გამოიცვალა, თავისი სიცოცხლე სულ „კანცელარიებში“ „ჩინოვნიკათ“ არ გაატარა? თუ ერთს არ უშლის ჩინები და ორდენები იყოს სასარგებლო კაცი თავის ქვეყნისა და მეცნიერებისა, მეორეს რათ უნდა დაუშვლოს? თუ ერთს არ ეძრახვის ჩინების და ორდენების ქონა, მეორეს რათუნდა ეძრახვიდეს? ზ. ჯიქინაძეს ჰაზროვნება, ჰგავს იმ ერთი დიაკენის აზრსა, რომელიც ამტკიცებდა თურმე, რომ „ჩინოვნიკები“ სამართესში ვერ შევლენო, რადგან „დავი-თნი“ ნათქვამიაო: შეიყვარა უფალ-მან „უჩინონიო“.

დიად, სასაცილო იქნებოდა ყველა ამგვარი ამბავი, რომ დიდად სამწუხარო არ იყოს: რაღაც უცნაური ერთმანეთის ქამიობა და დაუცხრომელი შუღლი პლუბავდა წარსულში საქართველოს, და თუ ასე გასტანა, ესევე მოუღებს ბოლოს მომავალშიაც,—სხვა პირი და მტერი საქართველოს არ უნდა.

აღ. ცაგარელი.
დეკემბერი, 1895 წ.
ს. პეტერბურგი.

ხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. ამ უკანასკნელ დებეშებიდან სჩანს, რომ იაპონიის მოწინააღმდეგენი სჯობნიან მეორე პარტიას; ამავ დროს რუსეთისა და ინგლისის ჯარებიც გადასვენებულნი კარგს ტერორიორიანზე. ამ ამბებმა შეაფოთა იაპონიაც და პარლამენტის სხდომებიც არ შესწყვიტეს დროზე. შეუძლებელია იაპონიამ ისე ადვილად მიტოვოს კორეა, როგორც ლიბანის ნახევარკუნძული და ამიტომ მოსალოდნელია ევროპის ყურადღება ისევ შორეულ აღმოსავლეთს მიექცეს.

შურნალ-გაზეთები და წიგნები
ამოკრებილი ამბები.

— ამ ოცდაათის წლის წინად სამხედრო-გარეთელმა გაზეთებმა მთელი ქვეყანა მოაფინეს ერთი უცნაურის ამბით. ერთს ვეროპის სატახტო ქალაქში გამოძიებულს და პოლიციის ექსპერტის მხედარი ისინი იყო მოკლულ დედა-კაცისა და გაოცებულან, რომ დაუნახავთ დედა-კაცის გამჭრალ და უსიცოცხლო თვალში საზე ადამიანისა, რომელიც ვითომ მისი მკვლეელი უნდა ყოფილიყო. გამოხატულობა და საზე მკვლელისა, როგორც მაშინ გაზეთები ამბობდნენ, თვალის გუგაზე ისე იყო დაჩნეული და აღბეჭდილი, როგორც ფორტაფის ფორფიტაზე (პლასტიკა) ხოლმე. შემოწმებულ იყო ეს ამბავი თუ არა, არავინ იცის, ხოლო დაჯერებული-ი მაშინ ბევრმა დაიჯერა და ერთი კამათობაც ასტყდა იმაზე თუ, — შეუძლიან თვალს აღბეჭდოს და შეიჩინოს საზე იმ საგანისა, რომელიც უკანასკნელად დაუნახავს?

ერთი ფიზიოლოგის ჩრდილო-ამერიკისა შეუდგა ამ საქმის გამოძიებას და მერე გაზეთებში ამტკიცებდა, რომ მე ერთხელ ჩემი საკუთარი საზე ვნახე იმ ხარის თვალზე დაჩნეული, რომელსაც გაზეთებში დავაქვეყნებდი რამდენიმე წუთის წინად, მინამ დაბკლავდნენო. მას მერმედ ბევრი ხანი გავიდა და ამისთანა ამბავის სიმართლე არავის დაუმტკიცებია, არ დაუნახებუბია და ეს ამბავი დაიწყებდას მიეცა. ხოლო შარშან ბელგის ქალაქში გენტი პროფესორს მკურნალობისას დაჩნდა შემდეგი ამბავი შემოწმებული და გამართლებული. სამკურნალოში მდღევ სტუდენტს შეუტყობია პროფესორისათვის, რომ ერთი სწული დედა-კაცისა სამკურნალოში, რომლის თვალთა გუგაში ციფირები სჩანსო. პროფესორის არ დაუჯერებია და წასულა სწულის სანახავად. მართლაც შეუმჩნევა, რომ ერთს თვალზე დაჩნეული აქვს ციფირი 10 და მეორეზე — ციფირი 45. რამდენად უფრო თურმე აკვირდებოდა სწულის თვალს, იმდენად ციფირები უფრო ცხადად და ნათლად იხატებოდა. მაშინვე თვალთაგან ფორტაფისა გადააღებინა პროფესორმა და ორივე ციფირი 10 და 45 უკლებლივ და ზედ-მიწევნივთ გაღიხატა ფორტაფისამ. რა მიზეზით უნდა დაჩნდეს თვალს ეს ციფირები და ან რა იმისთანა განსაკუთრებული გარემოება იყო, რომ თვალმა ეს სხვა და სხვა ციფირები დაჩინა, დედა-კაცს არ იცოდა, რომ პროფესორისათვის აქვს 45. ბევრი გამოკითხეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ამ სახით ეს ამბავი აუხსნელი დარჩა, ხოლო საკვირველი ეს იყო, რომ იგივე ციფირები, თუცა-კი უფრო ბუნდად, იმ დედა-კაცის ქალი-შვილსაც შეაჩინეს თვალში.

ეს უცნაური და გაუგებარი ამბავი, ამბობს ანრი დე-პარვილი ერთს ფრანგულ გაზეთში, იმდენად საოცარია, რომ ღირსია ფიზიოლოგისებმა მთელი თავისი ყურადღება მიაკციონო. იმედია, რომ პროფესორი დენეტი გამოუძიებლად არ დააღებს ამ საოცარს ამბავს, რომელიც თვითონვე შეამოწმა. რომ აქ მოხსენებული ამბავი მართალია, ამაში ეჭვი არ არის. ხოლო რას უნდა მიეწეროს ეს ამბავი, აი დღემდე ველოთ ამის პასუხს და პასუხი ჯერ არავის უთქვამს. (5)

შეინახოს გაზეთებში ამისი უებარი წამალი ეს არისო, სარდაფში ან სხვენში ერთი დიდი და რაც შეიძლება დიდი კასრი, ანუ კოდი (ჩანი) დადგითო. კასრსა, თუ კოდს რიგის საღებო უნდა ჰქონდეს, რომ თუ ვინცაა ყინვა იქნება, კასრი ან კოდი არ დაიშალსო. კასრი თუ კოდი ისე უნდა აივსოს კვერცხითა, რომ მარტო ოთხი-ხუთი გოჯი-ლა დარჩეს პირთამდე. მერე ზემოდან სამ-ოთხ გოჯის სიმძლავრე კირნარევი წყალი უნდა დაეხსოს იმ ნაგარიშით, რომ კირი ოცი წონა იყოს და წყალი ოთხმოცი. ჯოქვით, ასი გირვანჯა კირნარევი წყალი მოუნდა, რომ სამ-ოთხ გოჯამდე კვერცხის ზემოდ ადგილი აავსოს. მაშინ ოცი გირვანჯა კირი უნდა გავრიოს ოთხმოც გირვანჯა წყალში. რაკი ამ კირიან წყალს დაასხამთ, ხუთი ძალიან კარგად უნდა დახუროთ, რომ ჰაერი არ შედიოდეს და ამ სახით გაზეთებში ამოყვით. თუ კირიან წყალი გაიყინება, მაშინ ფიქრი არ არის. თუ გაიყინება კვერცხი, მარტო ერთი ზემოთი პირი და ისიც არა ჰხდება, თუნდაც ნაჭურვი დაუსდეს. გაზეთებზე, საკრიოებისამებრ, ახლით ხუფსა, კვერცხებს, თუ გაყინულია, იმოდენას დააციდით, რომ ყინული ჩამოიშალოს. ამისათვის ან ციფრალში გადააწყოთ, ან თუნდაც თოვლშიო. მერე რაკი ყინული ჩამოიშალოს, კვერცხი ისეთივე კარგია და სალი, როგორც ახლად დაღებულთა. ხოლო რაკი ყინული ჩამოიშალოს, მაშინვე უნდა იხმაროს კვერცხი, თორემ ჰაერზე დიდხანს თავს ვეღარ იტყვს და ჰფუტდება. კირნარევი წყლის მაგარი შესაძლოა მართლ-წყალიც იხმარონო.

— როგორც ეტყობა მარტო ჩვენ, ქართველები არა ერთ ბედოვლოთები და ქონების გამოფანტავნი. ერთს წევრს ინგლისის ლორდთა პალატისას ეხლა ზან გამოუმუშავებია რაც თავის უბის წიგნში სასოფრად ჰქონია ჩაწერილი. აი, მავალითა, რაებს აცხადებს ინგლისის დედა-კაცთა ბედოვლოთობის თაობაზე. შარშან, თუ შარშან წინ გადაიკვალა მარკიზი გასტინგისი. როცა სრულ ასაკში შესულა, მაშინ თერთმეტი მილიონი მანეთი ჰქონია. სწორედ პირი ყოფილა ფულბისა. დღემდე გააფუჭა თურმე მთელი თავისი ქონება. ერთს ცხენში მიუცა 125,000 მანეთი. ერთხელ სანაძლეო დაუტყრია ესა და ეს ცხენი გაასწრობსო და 600,000 მანეთი მოუგია, მეორედ ამისთანავე სანაძლეოზე წაუგია 1,080,000 მანეთი ჭორჭორ კიდევ სხვა დრას — 850,000 მანეთი. ერთს წელიწადს თავის თავზე დაუხარჯავს ორ მილიონ ნახევარს. ერთს სასტუმროში მოსამსახურე ქალს, სილამაზით განთქმულს, ბევრი სლია თურმე და ბოლოს ერთი უშველებელი სასახლე აჩუქა, რომელშიაც ორი მილიონი მისცა. დილით სახლიდან რომ გავიდოდა, თან წაიღებდა ხოლმე 15,000 მანეთს და შუადღისათვის ერთი გროში ადარა ჰქონდა ჯიბეში. შვიდს წელიწადში თავისი უშველებელი ქონება სულ გაჟღერანდა. ამან უარესი ბედოვლოთი მარკიზი ელსბერი ყოფილა. ექვს წელიწადში ხელიდან გამოეცალა და გაეყიდა იმისთანა მამულები, რომელიც წელიწადში ორ მილიონს მანეთს შემოსავალს იძლეოდა. ბოლოს ერთი ვირი და ვირის ურემი-ლა შერჩა თურმე. ყოფილა კიდევ ინგლისელი ბერი, რომელიც მარტო იმპერატორ გაუტრებულა, რომ წელიწადში ოთხი მილიონი შემოსავალი ჰქონია. თვითო სადილზე შეიდას თუმანამდე ზღვანგავდა ყოველ ცისამარა დღეს. ერთს ქალს, რომელიც ოპერის ხორაში იყო, სამ მილიონ ნახევარი შეაგებია. (5)

წერილი რედაქციის მიმართ.
ბატონო რედაქტორო! გთხოვ უმადრად სება მბოძით თქვენს პატრიარქალს გასეთ „აგრიას“ შემწეობით უგულებითა დესა მადლობა გამოუცხადო ბნს მ. ს. ნუნუგარაკს, რომელმაც წესსაც ერთა საქენი შემა შემოსწიარ ტუ. ფუკისცვალების, ანუ დარაის მონ. სამრეკლო სკოლას.
ბატონი ნუნუგარაკი მიუხედავად

ამისა, რომ სომეხსა, ეს ორი წელიწადი მუქად გვაგზავნის შესას. შარშანც შემოსწიარ ერთი საქენი შემა. არ იქნება ურავო სსეკამაც მიგზომონ ბნს ნუნუგარაკს და რათაც იქნება დახმარება აღმოუჩინონ შემოსწიარებს სკოლას, რომელმაც მრავალი ობოლ-დარბინი სწავლებენ უსსეიდლოდ, შეუძლებლობის ჭამა, რეკულებიც-გიკერ უედინათ თავანთის ფუდით.
მასწავლებელი ონ. კიკაძე.

სამართლოვს თავადნი.

თავადნი მელიქიშვილინი. თავად მეღაქიშვილთა გვარეულებსა ჰდინაშუღაა ქართლს თავადთა სიაში, რომელიც საქართველოს მეფის ერეკლე II-ის მიერ 1783 წ. რუსეთის მთავრობასთან შეკრულს ტრაქტატს აქვს ზედ დართულია.
30 ოქტომბერს 1816 წ. და 2 თებერვას 1824 წ. უმადლესად დამტკიცებულს სასეკემფიფო საბჭოს განჩინით თავადებად ცნობილ და V გვარეულებათა წიგნში შეტანილ არიან: შარშანი სტუფამე და გოლეკვა ასევე სორაი ოასებ ზაქვას ძენი მეღაქიშვილნი.

უმადრეულების სეხატის გარდაწვეტილებით 29 აპრილს 1827 წელს, ნოემბერს 1850 წ. და 4 იანვარს 1869 წ. ამ გვარს შეუერთდნენ თავადნი მეღაქიშვილნი: შარშანიშვილი მისეილ ოასების ძე, შეილი შოლეკვანიის ალექსანდრე იანეს ძისა და ლეონტი დამატრის ძე.

6 დეკემბერს 1850 წ. უმადლესად დამტკიცებულს საქართველოს თავადთა სიაში სიაში ნაჩვენებნი არიან თავადნი მეღაქიშვილნი: 1) ჭკრავი სიდეგონი სოკუტინიის სოლომონისა — კეგეში და შეილი მათნი: შტაბს-როტმისტრი დამიტრია და მისეილი; 2) ჭკრავი იანესი — შარშანი და შეილი მათნი: მისეილი, დამიტრია, იანეს და მართა; 3) მამორი ლეკნი, შარშანი და კასტანტინე იანეს ძენი და 4) შარშანიშვილი ალექსანდრე ოასების ძე, ცალა მისი სოფიო და შეილი მათნი: იანეს, ანასტასია და ნინო.

31 ოქტომბერს 1871 წლის უმადლესის ბრძანებით შტაბს კაპიტანს იანეს მეღაქიშვილს მიეცა სება ატაროს გვარა და ტიტული და აგრეთვე ისარგებლოს თავისას აღმზრდელს გენერალ-ადიუტანტის, კავალერიის გენერალის თავადის ლეკნი იანეს ძე მეღაქიშვილის დარსებათ და შთამომავლობით იწოდებოდნენ თავად მეღაქიშვილად.

დებეშა

(რუსეთის დებეშთა სააგენტოსაგან),
8 თებერვალი.
სტოპოვლი. გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს პარლამენტში დებუტატი ჰედინი დაეკითხა მთავრობას, რატომ არ გამოაცხადა გარეშე საქმეთა მინისტრმა, რომ გაზეთების მიერ გავრცელებული ხმა, ვითომც შევცია და ნორვეგია სამთა კავშირს მიეკედლენო, ტყუილი არისო. მინისტრმა უპასუხა: შევცია და ნორვეგია გარეშე საქმეებში ნეიტრალურს პოლიტიკის მისდევნ, ხოლო უცხოეთის გაზეთებს ამაში ვერ დავაჯერებთ, რადგან ცნობებს იგინი სტოპოვლიმდამ იღებენო.
პარსი. გაზეთ «ფრანსა»-ის წინააღმდეგ აღძრული პროცესი დასრულდა. დამნაშავეთ გარდაუწყვეტეს დაპატიმრება 8 დღიდან ერთ თვემდე და 2000 ფრანკი ჯარიმა მიუსაჯეს.
კონსტანტინოპოლი. ინგლისის მთავრობამაც აღიარა პრინცი ფედინანდი ბულგარიის მთავრად.
ლისაბონი. მხატვართა კლუბში ბალის დროს გაჩნდა ცეცხლი. საზოგადოება ფანჯრებს მიაწყდა და იქილამ ქუჩაში ხტომა დაიწყო. ბევრი მკვდარი აღმოაჩინეს.
ლონდონი. იოჰანესბურგიდამ დებეშით იტყობინებია, რომ ვიდნდორში ღინამიტმა იფუტა. ირგვივ 100 სახლი დაიქცა. მრავალი ხალხი დაიხოცა.
ლონდონი. დაილი ტელეგრაფა აცხადებს, რომ ლონდონში გავრცელებული ხმა, ვითომც ინგლისს პორტუგალიისაგან ეყიდოს ნავთსაღვრი დელაგუა, ტყუილია.
9 თებერვალი.
პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა, იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასულმა, იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა, დიდმა მთავრებმა და დიდმა მთავრებმა მიბრძანდნენ 8 თებერვალს მხატვრობის აკადემიაში და დათვალიერეს გამოფენა.
სასახლის მინისტრი დაბრუნდა პეტერბურგს და შეუდგა სამსახურის ასრულებას.
პარსი. პარლამენტის დღევანდელს სხდომას დიდი საზოგადოება დაესწრო. დიპლომატთა ადგილებიც დაქერილია. რესპულიკელი შადე დაეკითხა სამინისტროს, რისთვის იყო სამსახურიდან გადაყენებული გამოძიებელი რემპლერიო. რიკარმა უპასუხა, რომ რემპლერიო ცუდად ასრულებდა თავისს მოვალეობას, ხოლო რადგანაც პარლამენტის სურვილისამებრ სამხრეთ რიგის გზათა საქმეების გამო სასტიკი გამოძიება უნდა ყოფილიყო, ამიტომ მან რემპლერიის მაგიერ სხვა დანიშნაო. (მარცხენა მხარე პარლამენტის თანაგრძობას აცხადებს).
მარსილი. ჩამოვიდა გენერალი დიუშენი. მადაგასკარის გმირს ხალხი აღტაცებით მიეგება.
ვენა. ხვალ პრინცი ბორისი მიჰყავთ ნიცაში დედასთან. ორისთვის შემდეგ პრინცი კირილე და ბორისი ისევ სოფიაში იქნებიან ჩამოყვანილნი.
მილანი. ბარატერი, გავ. «ტრიბუნას» ცნობით, ცუდს მდგომარეობაში არის, რადგანაც იტალიელთა ჯარებში სხვა-და-სხვა ავადმყოფობა ვრცელდებაო.
სოფია. ექსარხოსი და ოსმალიეთის ელჩები კონსტანტინოპოლს გამგზავრენ. — მიტროპოლიტი კლიმენტი დაჯილდოვებულ იქნა ბულგარიის უმთავრეს ორდენით.

„იპერიის“ მოსტა
სტამბოლოში, ს. კ.—ს თქვენი „სიტყვა“ არ დაიბეჭდება.
ბუილისში, ბ.—ს: მაგ საგანზე ლაპაკი აღარ ღირს.
ბ. მორს — უჩინ-მარინს: თქვენი წერილი დასაბუთებული არაფრით არის და ამიტომ მისი დაბეჭდვა შეუძლებელია.
ს. შორაღანს — ნინია თუბალურს: თქვენი წერილი ილ. ფერ — ძის მიერ აღძრულ კითხვის შესახებ არ დაიბეჭდება.

ბანსხალკუანი

ბირეული კერძი სამ. ურნალო ექიმის ნავსარდდინისა (კუიკიში, ვარონცივის ძეგლის პირდაპირ). ავადყოფთი იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავსარდდინის, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სწულვებანი სახირურგო, ვენერიული და სიფილისი.
ე. მ. ჩაქვანა, 9—10 საათ. სწულვებანი: თვალისა, შინაგანი-და ნერვებისა.
ქ. ქალო ა. ი. დუნაგარეუანკა 11—12 საათ. სწულვებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.
ი. ფ. შარტასევიანი. 12—1 საათ. სწულვებანი: ყურ-სა, ყლისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორზაბათობით, ოთხზაბათობით და პარასკეობით.
ს. მ. შუგინაგო. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორზაბათ, ხუთზაბათ და შაბათობით.
ს. ბ. კანსპეტანტი. 1—1 1/2 საათ. სწულვებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოაობით:

ი. ფ. შარტასევიანი. 5—6 საათ. ორზაბათს, ხუთზაბათს და შაბათს.
ს. მ. შუგინაგო. 5—6 საათ. ორზაბათ, ოთხზაბათ და პარასკეობით.
ს. გ. გურგო. 6—7 საათ. სწულვებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.
ს. გ. გურგო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
ჩვენა-დარიგებისა და რეცეპტებისა დაწერის ფასი ათი შური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით, სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.
დიქტორა სამკურნალო დოქტორა მედაცინისა ნავსარდდინი. (წ.)

გბილის ექიმი
ს. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დან 2 საათამდე.
სადამოთი 4-დან 6 საათამდე.
კვირა-შაბათ დღეებში
დილის 10 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე. (166—1891—74).
გამოვიდა კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:
1) „საჩუქარი“ (ლექსთა კრება) მოზრდილ ყრმათათვის. შეკრებილი ი. გომელაურის მიერ. 48 გვერდი, ფასი ერთი შური.
2) „დემონი“ მ. ლერმონტოვისა. თარგმნილი მ. გურიელისა. ავტორის, მთარგმნელისა და 8 სხვა სურათით კარგს ქალაქულად. ფასი 10 კ.
3) „ქალები“ (ანუ უცვლელი მეცნიერთა და ფილოსოფოსთა თქმული და გაგონილი ქალების შესახებ). შეკრებილი თ. სახოკიას მიერ. სურათით, მშენიერს ქალაქულად 20 კ.
4) „რამდენიმე ლექსი“ ანდროუბიშვილისა, ფ. 15 კ.